

გეოგრაფიის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ადამიანის დამოუკიდებელი ფუნქციონირებისთვის. კერძოდ გეოგრაფიის ცოდნა ეხმარება მოსწავლეებს გაიაზრონ ადგილის/ადგილმდებარეობის ცნება და შეძლონ სივრცეში დამოუკიდებელი ორიენტაცია. დაუკავშირონ ადგილმდებარეობა და მოვლენები ერთმანეთს (მაგ. საკლასო ოთახში გაკვეთილები ტარდება; სამზარეულოში საჭმელი მზადდება და ა.შ.); დააკვირდნენ და შეისწავლონ სხვა ადამიანების როლი და პოზიცია სხვადასხვა გარემოში, ასევე გაარკვიონ პოზიცია და როლი, რომელიც მათ აქვთ საკუთარ გარემოში; ეს ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი თავი მიაკუთვნონ გარკვეულ ჯგუფს/სოციუმს.

მნიშვნელოვანია: გარემოს შემეცნებას ბავშვი თავისი უშუალო გარემოდან იწყებს. კერძოდ ადგილმდებარეობის შემეცნება იწყება სახლიდან, სადაც თავად ცხოვრობს, ან სადაც მისი მეგობრები ცხოვრობენ; სკოლიდან, სადაც დადის და ა.შ. მოსწავლე მისთვის ნაცნობ ადამიანებს უკავშირებს სხვადასხვა ადგილს და აკვირდება, რა როლი აქვს თითოეულ მათგანს სხვადასხვა გერმოში, მაგ. სკოლაში; სახლში; ქუჩაში და ა.შ. შესაბამისად აცნობიერებს თავად რა როლი აქვს იმ გარემოში სადაც არსებობს (სკოლაში, სახლში, სათამაშო მოედანზე).

ნაცნობი ადგილების შესწავლის შემდეგ მოსწავლეს უჩნდება უცნობი ადგილების შესწავლის ინტერესი და მოტივაცია, რაც კიდევ უფრო ეხმარება მოსწავლეს ახალი გამოცდილების, ცოდნის დაგროვებაში და სამყაროს შემეცნებაში.

გეოგრაფიის საშუალებით მოსწავლე არა მარტო ადგილმდებარეობა შეიმეცნებს, არამედ ამინდებს, სეზონებს და მათ ცვლილებებს; დროის ცვლილებებს და ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს წარმოშობის ისტორიას.

როგორ ვასწავლოთ გეოგრაფია მძიმე და საშუალო ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეს?

არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა გეოგრაფია ისწავლონ, ვინაიდან მათ განსაკუთრებით სჭირდება მხარდაჭერა იმისთვის, რომ დამოუკიდებლად ფუნქციონირება შეძლონ. შესავალ ნაწილში ჩვენ დავინახეთ, რომ გეოგრაფიის შემეცნება დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა.

გახსოვდეთ: ინტელექტუალური დარღვევის მოსწავლეებს გაცილებით უადვილდებათ იმ მოვლენების გააზრება, რომელიც უშუალოდ მათ და მათ ახლობლებს უკავშირდება. ამიტომ ყოველი საგანი და მითუმეტეს გეოგრაფია სსსმ მოსწავლეებს უნდა ასწავლოთ რეალურ სიტუაციებთან კავშირში და მაქსიმალურად გამოიყენოთ ისტორიები და მოვლენები მოსწავლის და მისი ახლობლების ცხოვრებიდან. მოვლენების ასახსნელად კი გამოიყენეთ საყოფაცხოვრებო და მარტივი ენა.

მე7 კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელო:

სახელმძღვანელოს პირველი თავი ეძღვნება გეოლოგიურ დროსა და დედამიწის მოძრაობას. პირველი გაკვეთილი ეძღვნება გეოლოგიურ დროს.

გეოლოგიური დრო და დედამიწის წარმოშობა:

ამ თავში შემოგთავაზებთ პირველი გაკვეთილის ადაპტირების მაგალითს მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლისთვის.

პირველი გაკვეთილი - გეოლოგიური დრო

დედამიწის წარმოშობიდან დღემდე გავლილ პერიოდს გეოლოგიურ დროს უწოდებენ. თუ თქვენ ასწავლით მძიმე ან თუნდაც საშუალო ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეს, შეიძლება იფიქროთ, რომ მისთვის ძალიან ძნელი იქნება ან საერთოდ შეუძლებელი გაიგოს, რა არის გეოლოგიური დრო ან გეოლოგიური წელთაღრიცხვა. ასეთი დამოკიდებულება ძალიან შეგიშლით ხელს თქვენც და თქვენს მოსწავლესაც წარმატების მიღწევაში. სინამდვილეში უნდა იცოდეთ, რომ რაც უნდა მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე არის მოსწავლე, ის ძალიან ბევრს ისწავლის და შეიმეცნებს თქვენი გაკვეთილიდან.

მაშ ასე, თქვენი მიზანია მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლეს დაეხმაროთ გეოლოგიური დროს და დედამიწის წარმოშობის შემეცნებაში. პირველ რიგში ჩვენ უნდა გაცნსაზღვროთ ამოცანები, რომლებიც ამ მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება.

გაკვეთილის მიზანი:

მოვლენებსა და დროით ინტერვალებს შორის კავშირის შემეცნება

პირველი ამოცანა:

დროითი ინტერვალების ცნების შემეცნება: კერძოდ, მოსწავლეს ვეხმარებით შეიმცნოს, რომ მოვლენები დროში სხვადასხვაგვარად ლაგდებიან. გარკვეული მოვლენები, მაგ. წინაპრების დაბადება წინ უსწრებს სხვა მოვლენებს; ზოგი მოვლანა უფრო ადრე ხდება და ზოგიც- გვიან. მოვლენების დროში განლაგების მიხედვით დრო იყოფა ინტერვალებად. ყოველივე ამის გასააზრებლად მოსწავლეს დაეხმარება საკუთარი და მისი ნათესავების დაბადების დღეების გააზრება და დროით ინტერვალებში დალაგება.

საჭირო მასალა: ცარცი, ოჯახის წევრების ფოტოები.

აქტივობა: საკლასო ოთახის იატაკზე ვხატავთ დროით ბილიკს და ვყოფთ მას ინტერვალებად; სსსმ მოსწავლე/ებს ვაყენებთ ბილიკის ბოლოში. ბილიკზე, პირველ ინტერვალში მოვნიშნავთ მოსწავლის, მაგ. ნიკუშას დაბადების დღეს; მოერე ინტერვალში - ნიკუშას დედის და მამის დაბადების დღეს; ბოლო ინტერვალში, რომელიც ყველაზე შორს არის - ბებია/ ბაბუას დაბადების დღეს.

იგივე დავალებას ვაკეთებთ რამოდენიმეჯერ სხვადასხვა მოსწავლის ოჯახთან მიმართებაში. შესაძლოა ჩაერთოს თავად მასწავლებელი და დროით ბილიკზე მონიშნოს მასწავლებლის დაბადების დღის ადგილი.

იგივე დავალებას ვაკეთებთ ციფერბლატზე: იატაკზე ან დაფაზე/კედელზე ვხატავთ საათის დიდ ციფერბლატს, ვყოფთ დროით ინტერვალებად/პერიოდებად და მასზე ვანაწილებთ ოჯახისწევრებს დაბადების დღის მიხედვით.

მეორე ამოცანა: *დროით ინტერვალებსა და თაობებს შორის კავშირის შემეცნება* (მოსწავლე სწავლობს, რომ ადამიანთა ჯგუფების/თაობების დაბადება სხვადასხვა დროით პერიოდს უკავშირდება; კერძოდ, ჯერ გაჩნდა ბებია-ბაბუების თაობა, მოგვიანებით დედ-მამის; ბოლოს - შვილების თაობა.

საჭირო მასალა: ცარცი და წინაპრების ფოტოები ან სახელები დაწერილი ფურცლებზე/სტიკერებზე.

აქტივობა: სსსმ მოსწავლის, მისი თანაკლასელების და მათი წინაპრების ფოტოებს (ან მათ სახელებს, რომელიც სტიკერებზე წერია) ვაჯგუფებთ თაობების მიხედვით. იატაკზე დახატულ დროით ბილიკზე, რომელიც ინტერვალებად არის დაყოფილი, ვალაგებთ ფოტოებს თაობების და ინტერვალების მიხედვით: კერძოდ, ყველაზე შორეულ (მესამე) ინტერვალში ვალაგებთ წინაპრების ფოტოებს; მეორეში - მშობლებს და მესამეში - შვილების თაობას. შეგვიძლია ინტერვალებს დავარქვათ სახელები, მაგ ძალიან დიდი ხნის წინ; დიდი ხნის წინ, ახლახან ან სხვა.

იგივეს ვაკეთებთ ციფერბლატზე.

მესამე ამოცანა: *დროით ინტერვალებსა და ცხოველთა სახეობების წაქრმომობას შორის კავშირის შემეცნება*

მასალა: ცხოველთა სახეობების ფოტოები (უფრო ეფექტური იქნება სათამაშოები).

აქტივობა: იატაკზე დახატულ დროით ბილიკზე ვანაწილებთ დინოზავრებს, ქვეწარმავლებს, თევზებს, მწერებს, ფრინველებს და ადამიანებს წარმომობის პერიოდის მიხედვით.

იგივე დავალებას ვიმეორებთ ციფერბლატზე.

მიღწეული მიზანი: მოსწავლე შეიმეცნებს, რომ მოვლენები დროში ლაგდებიან. ეს უნარი მას დაეხმარება გეოლოგიური დროის არსის გაგებში.

აქტივობა ხორციელდება მთელი კლასის მონაწილობით:

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენს მიერ სსსმ მოსწავლითვის დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა მიიღოს მთელმა კლასმა. ეს გარდა იმისა, რომ დაეხმარება სსსმ მოსწავლეს კლასში ინტეგრაციაში, ასევე დაეხმარება მის თანაკლასელებს უფრო კარგად გაიაზრონ მოვლენა და უფრო მეტი ხალისით ჩაერთონ სწავლის პროცესში.

დროის და რესურსების დაზოგვის თვალსაზრისით დაგეხმარებათ კლასის დაყოფა მცირე ჯგუფებად. სხვადასხვა ჯგუფს შეგიძლიათ მისცეთ სხვადასხვა სირთულის დავალება. მაგ თუ ჯგუფი რომელიმე სსსმ მოსწავლეა იმიშავებს ოჯახის წევრების ან ცხოველთა სახეობების პერიოდებთან დაკავშირებაზე, სხვა ჯგუფს მიეცით უფრო რთული დავალება გეოლოგიური პერიოდები დაუკავშირონ დედამიწის ამგებ ქანებს.

ყურადღება მიაქციეთ: ზემოთმოყვანილი მაგალითი არის მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლისთვის. მოსწავლის შესაძლებლობებიდან გამომდინარე თქვენ შეიძლება გაცილებით უფრო რთული და კომპლექსური მიზნები დაისახოთ და რთული დავალებები მისცეთ თქვენს სსსმ მოსწავლეს და მის თანაკლასელებს.

გაკვეთილზე მიღწეული მიზნის კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან

თუ ამ ყველაფერს დაუკავშირებთ ეროვნული სასწავლო გეგმის საბუნებისმეტყველო საგნების მიზნებსა და ამოცანებს, ვნახავთ, რომ ჩვენს მიერ მიღწეული მიზანი ნამდვილად უკავშირდება ესგ-ს მიზნებსა და ამოცანებს; კერძოდ: აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს (მიზანი); შეიმეცნოს გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპები (ცოდნა); მოახდინოს დაკვირვება აღწერა, კლასიფიკაცია (უნარ-ჩვევები); გაიღვივოს ინტერესი საბუნებისმეტყველო დისციპლინის მიმართ; გაუჩნდეს თანამშრომლობის სურვილი (დამოკიდებულება).